გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ საგარანტიო პირობებს და გამოყენების ინსტრუქციას პროდუქტის გამოყენებამდე. აღნიშნული დოკუმენტაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ-გვერდზე . warranty.tempur.com. თქვენი პროდუქტის დასარეგისტრირებლად ესტუმრეთ შემდეგ გვერდს: registermyproduct.tempur.com.

| | | |
|---|---|---|
| SQ | IS | NO |
| BG | IT | PL<br>დამატებითი ტექსტი, რომელიც უნდა უნდა დაემატოს PL პუნქტს<br>. Tempur -ის ბევრი პროდუქტი კლასიფიცირებულია, როგორც 1-ლი კლასის სამედიცინო მოწყობილობა, და ფლობს CE მარკირებას MDR (EU) 2017/745-ის შესაბამისად.<br>CE მარკირების მიზნობრივი გამოყენება მოიცავს მოზრდილებში წყლულების/ნაწოლების რისკის პრევენციას, ან შემცირებას. |
| DA | LT | PT |
| ET | LV | RO |
| FI | NL | SV |
| HR | | SR |

**Dan-Foam ApS**
Holmelund 43
5560 Aarup
Denmark
*Dan-Foam ApS წარმოადგენს TEMPUR-Sealy International, Inc-ის შვილობილ კომპანიას.

**TEMPUR® საგარანტიო პირობები**

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს TEMPUR® -ის საგარანტიო პირობებსა და გამონაკლის შემთხვევებს მსოფლიო მასშტაბით გაყიდული ახალი TEMPUR-ის პროდუქციის თაობაზე (გამონაკლისი ქვეყნები აშშ და კანადა).

**ვინ გვთავაზობს TEMPUR® გარანტიას?**

BY TEMPUR® პროდუქციის მწარმოებელი (გამონაკლისი აშშ და კანადა) არის Dan-Foam ApS, კომპანია, რომელიც დაფუძნებულია დანიაში კომპანიის სარეგისტრაციო ნომრით DK-24209709. კომპანიის იურიდიული მისამართი: Holmelund 43, 5560 Aarup, Denmark („მწარმოებელი"). Dan-Foam ApS არის TEMPUR-Sealy International, Inc -ის შვილობილი კომპანია.

**რას მოიცავს საგარანტიო პირობები?**

მწარმოებელი გარანტიას იძლევა მასზედ, რომ ყველა ახალი და ნამდვილი BY TEMPUR® პროდუქტი არის უდეფექტო არასწორი მუშაობის, ან შესაბამისი მატერიალური დეფექტების გარეშე საგარანტიო პერიოდის დაუცველობის გამო (იხილეთ, პუნქტი - რა პერიოდით?) გარდა იმ შემთხვევისა, თუ პროდუქტი კონკრეტულ გამონაკლისს არ წარმოადგენს, ან ვრცელდება მასზე გარკვეული გამონაკლისები (იხილეთ, პუნქტი - გამონაკლისები).

TEMPUR® საგარანტიო პირობები ძალაშია მომხმარებლის მიერ შეძენილ პროდუქტზე მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში (გამონაკლისი ქვეყნები აშშ და კანადა) მწარმოებლისგან, ან ავტორიზებული საცალო მოვაჭრის მიერ პირადი გამოყენებისთვის და არა ბიზნეს საქმიანობის კურსით, ვაჭრობაში, ან პროფესიაში. ავტორიზებულ საცალო მოვაჭრეთა ნუსხა ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ გვერდზე: tempur.com.

**რა პერიოდით?**

TEMPUR® საგარანტიო პირობები გრძელდება შესაბამისი პროდუქტის შეფუთვის შიგნით, ან შესაბამის შეფუთვაზე დაბეჭდილი, ან ქვემოთ განსაზღვრულის შესაბამისად, აღნიშნული ვადის ათვლა იწყება პროდუქტის შეძენის მომენტიდან (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროდუქტი დემონსტრირებულია, ან წარმოადგენს სადემონსტრაციო მოდელს, რა დროსაც საგარანტიო პირობები ძალაში შედის წარმოების თარიღიდან).

საგარანტიო პერიოდი, მოცემულია საგარანტიო პირობების ცხრილში, თუმცა მწარმოებელი იძლევა რეკომენდაციას მასზედ, რომ უნდა შემოწმდეს საგარანტიო პირობები იმ ქვეყნისთვის, სადაც საწყის ეტაპზე იქნა აღნიშნული პროდუქტი შეძენილი, ვინაიდან შესაძლებელია გარკვეული სხვაობა არსებობდეს საგარანტიო პირობების ვადებს. ამისთვის, ესტუმრეთ შემდეგ ვებ-გვერდს: warranty.tempur.com.

| **პროდუქტი: ქაფის გულარები** | **პროდუქტის საგარანტიო პირობები** | **რას მოიცავს საგარანტიო პირობები** |
|---|---|---|
| • ყველა TEMPUR® მატრასი, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული<br>• TEMPUR® დასაფენები North დაPromise საწოლების სისტემისათვის | 10 წელი | მასალებით გამოწვეული დეფექტები და ცვლილებები, რომლებიც იწვევს TEMPUR® ქაფის მასალაში 2 სმ-ზე მეტ ხილულ გამოუსწორებელ ჩაღრმავებას.. |

| | | |
|---|---|---|
| • TEMPUR® ორიგინალი (15, 19, 20, 21, 25, Deluxe 17 (მხოლოდ, ხავერდის შალითის შემთხვევაში), Deluxe 22, Deluxe 27, Breeze 22, Breeze 27)<br>• TEMPUR® Cloud (19,21,25, Breeze 22, Breeze 27)<br>• TEMPUR® Sensation (19,21,25, Deluxe 22, Deluxe 27, Breeze 22, Breeze 27<br>• TEMPUR® Topper 7<br>• TEMPUR® მატრასი<br>• TEMPUR რელაქსის მატრასი | 15 წელი შეზღუდული გარანტია * (იხილეთ, შენიშვნა ქვემოთ მოცემულ ცხრილში) | მასალებით გამოწვეული დეფექტები და ცვლილებები, რომლებიც იწვევს TEMPUR® ქაფის მასალაში 2 სმ-ზე მეტ ხილულ გამოუსწორებელ ჩაღრმავებას.. |
| • TEMPUR® Topper 5<br>• TEMPUR® Futon ყველა სეზონისთვის™<br>• TEMPUR® Futon Deluxe (7სმ) | 5 წელი | მასალებით გამოწვეული დეფექტები და ცვლილებები, რომლებიც იწვევს TEMPUR® ქაფის მასალაში 2 სმ-ზე მეტ ხილულ გამოუსწორებელ ჩაღრმავებას.. |
| • TEMPUR® Topper Deluxe 3.5<br>• TEMPUR® Topper 3.5 | 3 წელი | მასალებით გამოწვეული დეფექტები და ცვლილებები, რომლებიც იწვევს TEMPUR® ქაფის მასალაში 2 სმ-ზე მეტ ხილულ გამოუსწორებელ ჩაღრმავებას. |
| • TEMPUR® Futon Basic (6სმ)<br>• TEMPUR® Futon Simple (6სმ) | 2 წელი | მასალებით გამოწვეული დეფექტები და ცვლილებები, რომლებიც იწვევს TEMPUR® ქაფის მასალაში 2 სმ-ზე მეტ ხილულ გამოუსწორებელ ჩაღრმავებას.. |
| • ყველა დაპრესილი TEMPUR® ბალიში და სხვა საშინაო გამოყენების TEMPUR® -ის პროდუქტი | 3 წელი | მასალებით გამოწვეული დეფექტები და ცვლილებები, რომლებიც იწვევს TEMPUR® ქაფის მასალაში 2 სმ-ზე მეტ ხილულ გამოუსწორებელ ჩაღრმავებას.. |
| • ყველა TEMPUR® ბალიში შევსებული TEMPUR® მასალის გრანულებით:<br>○ ტრადიციული ბალიშები<br>○ კომფორტული ბალიში<br>○ Ombracio ბალიში<br>○ გრძელი ფორმის ბალიში<br>○ ბუმბულის ლუქს ბალიში | 3 წელი | მატერიალური დეფექტები არასათანადო მუშაობის და მასალების გამო. |
| • TEMPUR® ველოსიპედის ბალიშ<br>• TEMPUR® საძილე ნიღაბი | 2 წელი | მატერიალური დეფექტები არასათანადო მუშაობის და მასალების გამო. |
| **პროდუქცია:** შალითები | **პროდუქტის საგარანტიო პირობები** | **რას ფარავს დაზღვევა?** |

| | | |
|---|---|---|
| • შალითები ყველა პროდუქტისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული | 2 წელი | მატერიალური დეფექტები არასათანადო მუშაობის და მასალების გამო. |
| • შალითა TEMPUR® Futon Simple | 1 წელი | მატერიალური დეფექტები არასათანადო მუშაობის და მასალების გამო. |
| • შალითა TEMPUR® -ის ბუმბულის ლუქს ბალიშისთვის | 3 წელი | მატერიალური დეფექტები არასათანადო მუშაობის და მასალების გამო. |
| **პროდუქტი:** საწოლები და საწოლის ნაწილები | **პროდუქტის საგარანტიო პირობები** | **რას ფარავს დაზღვევა?** |
| • ყველა TEMPUR® საწოლის საფუძველი, საწოლის ჩარჩოები და დაფები, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული<br>• საწოლის სისტემის ყველა ნივთი - დისტანციური მართვის საშუალებები, მასაჟის განყოფილებები და საწოლის ძრავები | 2 წელი | მატერიალური დეფექტები არასათანადო მუშაობის და მასალების გამო. |

**შეზღუდული გარანტია - თუ თქვენ წარადგენთ საფუძვლიან საჩივარს შესყიდვიდან 5 წლის შემდეგ, მწარმოებელი უზრუნველყოფს შესაბამის მატრასს, რომელიც დაექვემდებარება ახალი მატრასით ჩანაცვლების ანგარიშსწორებას შემდეგი პროცენტული განაკვეთით **, იხილეთ პროცენტული განაკვეთის ქვემოთ მოცემული ცხრილი: გარდა ამისა, ზოგიერთი ქვეყანა შეიძლება გვთავაზობდეს 10 წლიან საგარანტიო ვადას აღნიშნული პროდუქციისთვის ასე, რომ გთხოვთ აღნიშნული დეტალები გადაამოწმოთ თქვენს ქვეყანაში არსებულ მაღაზიაში, ან ვებ გვერდზე,*

| **წელი 0 -5 – უფასოდ** | |
|---|---|
| წელი 6 - 10% -ის გადახდა მიმდინარე RRP | წელი 11 - 60% -ის გადახდა მიმდინარე RRP |
| წელი 7 - 20% -ის გადახდა მიმდინარე RRP | წელი 12 - 70% -ის გადახდა მიმდინარე RRP |
| წელი 8 - 30% -ის გადახდა მიმდინარე RRP | წელი 13 - 80% -ის გადახდა მიმდინარე RRP |
| წელი 9 - 40% -ის გადახდა მიმდინარე RRP | წელი 14 - 90% -ის გადახდა მიმდინარე RRP |
| წელი 10 - 50% -ის გადახდა მიმდინარე RRP | წელი 15 - 95% -ის გადახდა მიმდინარე RRP |

***მატრასის ახლით ჩანაცვლების ფასი დაექვემდებარება მწარმოებლის RRP-ის პრაისლისტს, რომელიც საჩივრის წარდგენის მომენტში იქნება თქვენს ქვეყანაში მოქმედი.*

**რას გავაკეთებ?**

იმ შემთხვევაში, თუ საფუძვლიანი საჩივარი გაკეთებულია TEMPUR® -ის საგარანტიო პირობების შესაბამისად, მწარმოებელი თავისი არჩევანით გთავაზობთ დეფექტური პროდუქტის აღდგენას, ან პროდუქტის სათანადო ახალი პროდუქტით უფასოდ ჩანაცვლებას.

მწარმოებელი უკან დააბრუნებს დეფექტური პროდუქტის მიწოდების გონივრულ თანხას პროდუქტის აღდგენის, ან ჩანაცვლებისთვის TEMPUR® -ის საგარანტიო პირობების შესაბამისად საჩივრის დასაკმაყოფილებლად და პროდუქტის დაბრუნება უნდა მოხდეს იმ ქვეყნის მისამართიდან, სადაც ავტორიზებულმა საცალო მოვაჭრემ შეიძინა აღნიშნული პროდუქტი. აღდგენილი, ან ახალი პროდუქტის მიწოდება უნდა მოხდეს უფასოდ, მისამართზე იმავე ქვეყანაში, სადაც ავტორიზებულმა საცალო მოვაჭრემ მოახდინა პროდუქტის შესყიდვა. ყველა სხვა გარემოებაში, მიწოდების ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია შეკეთებასთან, ან ჩანაცვლებასთან შემსყიდველის პასუხისმგებლობის საგანს წარმოადგენს.

ჩანაცვლების შემთხვევაში, მწარმოებელი უნდა შეეცადოს უზრუნველყოს პროდუქტის იმავე ხარისხის პროდუქტით ჩანაცვლება. თუმცა, იმ შემთხვევაში თუ პროდუქტის კონკრეტული ხაზი შეწყდა და აღნიშნული ფორმით აღარ გამოდის, ან პროდუქტი სხვაგვარად არ არის ხელმისაწვდომი, მწარმოებელი იტოვებს უფლებას უზრუნველყოს პროდუქტის, დეფექტური პროდუქტის მსგავსი პროდუქტით საკუთარი შეხედულებისამებრ ჩანაცვლება.

TEMPUR®-ის საგარანტიო პირობები ძალაში ორიგინალური პროდუქტის შესყიდვის მომენტიდან შედის (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროდუქტი დემონსტრირებულია, ან წარმოადგენს სადემონსტრაციო მოდელს, რა დროსაც საგარანტიო პირობები ძალაში შედის წარმოების თარიღიდან). აღნიშნული პირობები არ ვრცელდება შეკეთებულ, ან ჩანაცვლებულ პროდუქტზე. აღნიშნულ გარემოებებში, TEMPUR® -ის საგარანტიო პირობები ძალაში დარჩება წინასწარ დადგენილი პერიოდის დასრულებამდე შესყიდვის მომენტიდან, ან წარმოების თარიღის მომენტიდან საჭიროებისდა მიხედვით.

**გამონაკლისები**

**TEMPUR® საგარანტიო პირობები არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ:**

- პროდუქტი შეძენილია, მეორადია, ან შესყიდულია სხვა ავტორიზებული საცალო მოვაჭრისაგან, ან პირდაპირ შემსყიდვლისაგან. ავტორიზებულ საცალო მოვაჭრეთა ნუსხა ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ გვერდზე: tempur.com.
- საჩივრის წარდგენის პროცესის დროს (პუნქტში „როგორ ვახდენთ საჩივრის წარდგენას TEMPUR® -ის საგარანტიო პირობების შესაბამისად?" დადგენილი) დარღვეულ იქნა TEMPUR® საგარანტიო პირობები.
- პროდუქტი გამოყენებული და დამუშავებული იქნა გამოყენების ინსტრუქციის, გამოყენების ინსტრუქციაში აღწერილი გაწმენდისა და ტექნიკური უზრუნველყოფის და warranty.tempur.com. ვებ გვერდზე მითითებული პირობების დარღვევით.
- პროდუქტი განზრახ, ან დაუდევრობის შედეგად იქნა დაზიანებული, გადაჭრილი, დამწვარი, წყლით იქნა დაზიანებული, ან ნებისმიერი მესამე მხარის მიერ იქნა არასათანადოდ გამოყენებული.
- დეფექტი წარმოიქმნა პროდუქტის დაკეცვის, გაწურვის, ან ცივ ტემპერატურაზე გარკვეული დროის განმავლობაში გაჩერების შედეგად, რამაც გამოიწვია მისი დახევა, ან მუდმივი დეფორმაცია.
- პროდუქტი დასველდა, ან გაჟღენთილ იქნა მწარმოებლის საპირისპირო რეკომენდაციების მიუხედავად.
- პროდუქტი დალაქავებულია, დაბინძურებულია და/ან სხვაგვარად არის არაჰიგიენურ მდგომარეობაში.
- პროდუქტი შეცვლილი, ან რესტავრირებულია მწარმოებლის წინასწარი თანხმობის გარეშე.

- დეფექტი გამოვლინდა წინასწარ დადგენილი ცვეთის შედეგად.
- TEMPUR® პროდუქტის შალითის ელვა დეფექტურია, რაც არ ფიქსირდებოდა პროდუქტის მიღების მომენტში.
- მატრასების შემთხვევაში (CE მარკირებული პროდუქციის ფარგლებში), დეფექტი, ან ცვლილება პროდუქტში მხოლოდ მცირედით განსხვავდება ნორმალური მდგომარეობიდან, ან აღნიშნული ცვლილება ნორმალურად არის მიჩნეული და არ ახდენს გავლენას პროდუქტის წნევის გადანაწილების თვისებებზე.

**„როგორ ვახდენთ საჩივრის წარდგენას TEMPUR® -ის საგარანტიო პირობების შესაბამისად?**

TEMPUR® საგარანტიო პირობების შესაბამისად საჩივრის წარმოება უნდა შესრულდეს შემდეგნაირად:

- დაუკავშირდით ავტორიზებულ საცალო მოვაჭრეს, რომლისგანაც შეიძინეთ პროდუქტი (ე.წ. „გამყიდველი“). იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამყიდველი აღარ ეწევა აღნიშნულ საქმიანობას ან აღარ წარმოადგენს TEMPUR® -ის ავტორიზებულ საცალო მოვაჭრეს, გთხოვთ, დაუკავშირდეთ უშუალოდ მწარმოებელს.
- წარადგინეთ ორიგინალი ინვოისი, ან შესყიდვის ქვითარი შესყიდვის მტკიცებულების სახით.
- იქონიეთ სათანადოდ შევსებული TEMPUR® საგარანტიო მოწმობა, რომელიც თქვენ გადმოგცეს შესყიდვის მომენტში, ან რომელიც შეგიძლიათ მოიპოვოთ ონლაინ შემდეგ ვებ გვერდზე: registermyproduct.tempur.com. გთხოვთ, დაარეგისტრიროთ თქვენი TEMPUR® გარანტია შესყიდვიდან მაქსიმალურად სწრაფად.
- დაუბრუნეთ პროდუქტი გამყიდველს, ან მწარმოებელს (მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ მწარმოებელი მოითხოვს პროდუქტს). იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებელი განსაზღვრავს, რომ საჩივარი არის საფუძვლიანი TEMPUR® -ის წინამდებარე საგარანტიო პირობების შესაბამისად, თქვენ აგინაზღაურდებათ პროდუქტის გადახდილი საფასური იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტი გამოიგზავნება გამყიდველის ქვეყნის მისამართიდან.

**ჩვენი პასუხისმგებლობა თქვენს მიმართ**

მწარმოებლის პასუხისმგებლობა შეზღუდულია პროდუქტის შეკეთების და/ან ჩანაცვლების ხარჯზე TEMPUR® საგარანტიო პირობების თანახმად. შესაბამისად, მწარმოებელი არ იქნება პასუხისმგებელი სხვა ზარალზე, დანაკარგზე და დაზიანებაზე, რომელიც წარმოიშვა პროდუქტის შესყიდვით, ფლობით, გაყიდვით, ან გამოყენებით. თუმცა, მწარმოებელი არ გამორიცხავს, ან არ აწესებს, რაიმე ტიპის შეზღუდვებს საკუთარ პასუხისმგებლობაზე ადამიანის მსხვერპლზე, ან დაშავებაზე, რაც შეიძლება გამოწვეული იქნას მისივე დაუდევრობით, თაღლითობით, ან თაღლითურად გზით მოპოვებული საშუალებებით.

პროდუქცია იყიდება მხოლოდ შინაური და პრივატული გამოყენებისთვის. მწარმოებელი არ არის პასუხისმგებელი მოგების დანაკარგზე, წარუმატებელ ბიზნეს-საქმიანობაზე, საქმის შეწყვეტაზე, ან სარგებლის ხელიდან გაშვებაზე.

**თქვენი კანონიერი უფლებები**

TEMPUR® -ის საგარანტიო პირობები არ ახდენს გავლენას მომხმარებლის კანონიერ უფლებებზე შესაბამისი კანონის თანახმად, არამედ პირიქით მიზნად ისახავს მომხმარებლის უფლებების სრულყოფას საჭიროების მიხედვით.